ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N12/ს-12

ქ. მცხეთა 5დეკემბერი 2014 წელი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის N471 გაკკარგულების საფუძველზე, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი,შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ხუროთმოძღვარი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა ცაგარეიშვილის სახით'შემდგომში „მომწოდებელი", ედებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. სოფ. პატარა ქანდაში წყლის წისქვილის რეაბილიტაციის სამუშაოები-3921 ლარი.(CPV45200000)

2. სამუსაოს შესრულების ვადა და ღირებულება

2.1 სამუსაოს შესრულების ვადაა 2014 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან;

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 3921 (სამიათასცხრაასოცდაერთი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით. ფორმა N2-სა, მიღება-ჩაბარების აქტისა და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1 შეასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში შესაბამისი ხარისხის.

4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას.

4.2.1 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 სამუშაოს შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს სამუშაოს ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს მოახდენს მცეთის მუნიციპალიტეტის სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახური და შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2015 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მიწოდებელი"

შპს „ხუროთმოძღვარი"
ს/კ 405003035
„საქართველოს ბანკი "

ბანკის კოდი: **BAGAGE22**
ა/ა **GE46BG0000000513139100**
მის: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ/ნ
ნუცუბიძის II მ/რ ჭლენტის ქ .N2ა
ბინა N 21

დირექტორი
ზ. ცაგარეიშვილი

„შემსყიდველი"

მცხეთის მუნიციპალიტეტი
ს/კ 236098824
ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს
მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი: **LBRTGE22**
ა/ა GE11LB0120118541380000
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N7

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი
ზ. აბესაძე